საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2744 2019 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ქალი მსჯავრდებულების 3 (სამ) წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის“ პროგრამისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი: 26 02 02) სტაციონარული და ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**